



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური გზამკვლევი

სარჩევი

1.სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი სასკოლო კურიკულუმის საკითხზე	2
1.1 შესავალი- ზოგადი მიმოხილვა	2
2.სასკოლო კურიკულუმი	3
2.1 კურიკულუმის შემუშავება.....	6
2.1.1 კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება	13
2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	15
2.2. კურიკულუმის განხორციელება.....	20
2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.....	20
2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს	20
2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას.....	21
2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.....	22
2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს	22
2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს.....	22
2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	22
გამოყენებული წყაროები	23

1.სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი სასკოლო კურიკულუმის საკითხზე

1.1 შესავალი- ზოგადი მიმოხილვა

სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს სკოლის ერთწლიანი განვითარების პროცესს. გამომდინარეობს სასკოლო მისიიდან, განსაზღვრავს სკოლის მიერ შემუშავებული მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს.

სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება ზოგადი განათების ეროვნულ მიზნებს:

მუხლი 3. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები

1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა

სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებაზე დაფუძნებული სწავლების ორგანიზებას, მისი საშუალებითაც აღიწერება:


1. „გზა“, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეს სთავაზობს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ¹;
2. სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები ²;

¹ ერთი მხრივ ტერმინი „კურიკულუმი“ აღნიშნავს **საგნების/საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალს**, რომელსაც მოსწავლე საფეხურის ფარგლებში შეისწავლის, მეორე მხრივ კი გზას, რომელსაც ამა თუ იმ საგნის ფარგლებში გაივლის. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის კურიკულუმები ვითარდება დამოუკიდებელად. მათი ერთობლიობა ქმნის სასკოლო სასწავლო გეგმას.

² სკოლის პრიორიტეტებსა და ტრადიციებს წარმოაჩენს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას. სასკოლო კურიკულუმის საშუალებით ხდება მისიის და სტრატეგიის სასწავლო პროცესთან დაკავშირება.

3. ანგარიშვალდებულება, რომელიც სკოლას სამინისტროს, სასკოლო საზოგადოების წევრებს კი სასკოლო საზოგადოების წინაშე გააჩნიათ³.

სასკოლო კურიკულუმის წარმართვასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, კვლევასა და ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა სასკოლო კურიკულუმის დახვეწასა და სრულყოფას უზრუნველყოფს. შესაბამისად გან საზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების ფაზები/ეტაპები.




2. სასკოლო კურიკულუმი

სასკოლო კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს ყოველი ახალი სასწავლო წლისთვის, იგი ეფუძნება გასული სასწავლო წლის კურიკულუმის მონიტორინგის შედეგებს, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის

³ სკოლების ანგარიშვალდებულება სამინისტროს წინაშე აღიწერება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის მეორე სტანდარტის საშუალებით. სასკოლო სასწავლო გეგმა ამ ორ დოკუმენტთან სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას წარმოაჩენს.

შემუშავებას სკოლა იწყებს გავლილი სასწავლო წლის ბოლოს, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზები, რომელშიც მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება.

შედეგად კურიკულუმი უნდა პასუხობდეს კითხვებს, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ცოდნის კონსტრუირებაში:



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:⁴

სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.	მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე.
სწავლა-სწავლება ხელს უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.	ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.
სწავლა-სწავლება ხელს უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.	მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.
სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).	სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ ქმედებათა გააზრებულად,

⁴ ეროვნული სასწავლო გეგმა. მუხლი 9. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

	<p>გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.</p>
<p>სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.</p>	<p>ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?</p> <p>ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?</p> <p>გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?</p>

სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილებია:

- სასკოლო საათობრივი ბადე;
- მოსწავლის შედეგების შეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგანმანათლებლო რესურსი(სახელმძღვანელოები; ლიტერატურა, ელ.რესურსი)
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;
- არაფორმალური განათლება
- სკოლის ბიუჯეტი

სასკოლო სასწავლო გეგმის /კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა

შესავალი

- როდის და რომელი ბრძანებით დამტკიცდა სასკოლო კურიკულუმი;

- სკოლის სტრუქტურა (სასკოლო საზოგადოების წევრების კონკრეტული მოვალეობები სასკოლო კურიკულუმის განხორციელების პროცესში);
- კურიკულუმის შემუშავების პროცესის აღწერა (ჩართული მხარეები, პროცედურების დახასიათება; კურიკულუმის რევიზიის პროცესში გამოყენებული წყაროები, მათი მოპოვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია).

ნაწილი 1. ზოგადი ნაწილი (სასკოლო კურიკულუმის კონცეფცია)

- სასკოლო კურიკულუმის კავშირი სკოლის მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან;
- სასკოლო კურიკულუმის მიმართება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (*შესაბამისობა მიზნებთან, მეთოდოლოგიურ პრინციპებთან, სავალდებულო საგნების ჩამონათვალი*);
- სასკოლო სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნების რეალიზების მექანიზმები (სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება);
- ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში სასწავლო პროცესების დაგეგმვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.


ნაწილი 2. საგნობრივი კურიკულუმები (საფეხურების მიხედვით)

თითოეული საგნისთვის:

- მოსწავლეების დატვირთვა - საათობრივი ბადა, დამატებითი სამუშაო;
- შინაარსი (თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებები თითოეული წლისთვის);
- სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო რესურსები;
- სწავლების მეთოდები და სტრატეგიები - საგანთა შორის ინტეგრაცია, დისტანციური სწავლება, ციფრული ტექნოლოგიების (მაგალითად LMS - ის გამოყენება);
- შეფასება - შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სკოლა როგორ ახდენს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკას;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის;
- განათლების მეორე შესაძლებლობის პროგრამა (სკოლის დონეზე მისი ფუნქციონირების შემთხვევაში).

2.1 კურიკულუმის შემუშავება

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ეფუძნება პროცესების მონიტორინგისა და კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდება სასწავლო წლის ბოლოს.



შემადგენელი კომპონენტების მოკლე მიმოხილვა

კურიკულუმის შემადგენელი კომპონენტები	მოკლე განმარტება/რას ემსახურება	დაზუსტებები
სასკოლო საათობრივი ბაღე;	განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას, მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. ⁵	სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ: - საათობრივი ბაღე; სკოლას შეუძლია თავად დააკონკრეტოს ამ თვალსაზრისით ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ჩანაწერები. მაგალითად, აირჩიოს საათობრივი ბაღის

⁵ ესგ. მუხლი 23. სასკოლო საათობრივი ბაღე

		ორგანიზების ალტერნატიული წესი. ⁶
მოსწავლის კომპეტენციების შეფასება	მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ⁷	დაზუსტებები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ: შეფასების წესი და ფორმები; სკოლას შეუძლია თავად დააკონკრეტოს ამ თვალსაზრისით ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ჩანაწერები. მაგალითად, აირჩიოს საათობრივი ბადის ორგანიზების ალტერნატიული წესი. ⁸
საგნობრივი კურიკულუმები;	საგნობრივი კურიკულუმი მოიცავს: თემას, საგნის ყველა ცნებას, ქვეცნებებს, თემის ქვესაკითხს, საკითხთა კლასტერს, კონტექსტ მაგალითს, კომპლექსური დავალების იდეას, რესურსებს, შეფასების რუბრიკას, კონტექსტური მაგალითები შედარებისთვის.	

⁶ ესგ. მუხლი 23. სასკოლო საათობრივი ბადე

3. საჯარო სკოლას უფლება აქვს, ეროვნული სასწავლო გეგმით ერთი კლასისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, კონკრეტული საგნის წლიური ჯამური საათობრივი დატვირთვის 25% გადაანაწილოს სხვა საგნებს შორის. აღნიშნული გადაანაწილება უნდა იყოს დასაბუთებული. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება დაწყებით საფეხურზე სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებზე. გამონაკლისი დაიშვება ობიექტური გარემოებების არსებობისას სამინისტროსთან შეთანხმებით.

5. საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლაში გაძლიერებული სწავლების საგნები, ხოლო კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკოლას უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. შესაბამისად, ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს საფეხურის რომელიმე კლასში იმგვარად, რომ სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები ინტეგრირებულია სხვა საგნის/საგნების სასწავლო გეგმაში.

⁷ ესგ. თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა.

⁸ ესგ. მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები საჯარო სკოლაში

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები შეიძლება შეფასდნენ:

ა) ვარიანტი I – მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII-XII კლასები), შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები);

ბ) ვარიანტი II – შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საკლასო და საშინაო დავალებებში სკოლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ასევე შესაძლებელია, სკოლამ შემაჯამებელი დავალებების ქულებთან ერთად დაწეროს მიმდინარე საკლასო და/ან საშინაო დავალებების ქულები, თუმცა, არ იანგარიშოს სემესტრული ქულის გამოთვლისას. ვარიანტი II-ის არჩევის შემთხვევაში, სკოლამ სამინისტროში უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, ასევე სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების ტიპობრივი დახასიათება და ჯამური მინიმალური რაოდენობა.

	<p>საგანში მოცემულ თემა სავალდებულო უნდა აცოცხლებდეს ფარავდეს ყველა ცნებას, შესაძლებელია მასწავლებელმა/საგნობრივმაჯგუფმა გადაწყვიტოს კურიკულუმში კომპლექსური დავალებების რაოდენობა თემაში შემავალი საკითხების მიხედვით.</p> <p>საფეხურის საგნობრივი კურიკულუმში აერთიანებს საფეხურში შემავალ ყველა თემას (მაგ საშუალო სახეხურის გეოგრაფია მოიცავს 10;11;12 კლასების ყველა თემის კურიკულუმს).</p>	
<p>საგანმანათლებლო რესურსი(სახელმძღვანელოები; ლიტერატურა, ელ.რესურსი)</p>	<p>გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ბეჭდური და ელექტრონუ რესურსი, ვიდეო და აუდიო მასალა, ლაბორატორიები საგნების მიხედვით.</p>	
<p>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი აღწერილობა;</p>	<p>სკოლას უფლება აქვს, შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურება.</p> <p>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული სავალდებულო ან ფაკულტატური სახით.</p> <p>დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული სკოლის/კლასის ყველა მოსწავლისათვის;</p> <p>დამატებით ფაკულტატურ მომსახურებას (წრეს) მოსწავლეები სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან.</p> <p>საჯარო სკოლას უფლება აქვს მშობლებთან შეთანხმებით შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება⁹</p>	<p>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურების შესთავაზებლად სკოლამ უნდა განსაზღვროს:</p> <p>ა) დამატებითი საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი;</p> <p>ბ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე (ფაკულტატური/ სავალდებულო);</p> <p>გ) თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურებისთვის ამ მომსახურების</p>

⁹ ესგ. მუხლი 22. დამატებითი საგანმანათლებლო და საადმზრდელო მომსახურება

		<p>განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა (თუ ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში).</p>
<p>ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;</p>	<p>ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;¹⁰</p>	<p>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.</p> <p>4. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და</p>

¹⁰ესგ. მუხლი 41. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

		საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.
არაფორმალური განათლება	დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების განსაზღვრა შეუძლია სკოლას მისიიდან და სკოლის პრიორიტეტული მიმართულებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს საკლუბო მუშაობა, წრეები, პროექტული სწავლება, თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მხარდამჭერი პროგრამების შემოტანა და დანერგვა სკოლაში, მაგ პროფესიული თუ სამეწარმეო მიმართულებით.	
სკოლის ბიუჯეტი	სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სააღმზრდელო პროგრამებისა და არაფორმალური მიმართულების განვითარებისთვის საჭირო რესურსები	

სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს აკისრია შესაბამისი ვალდებულება სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში:

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების საფეხურები სკოლის სუბიექტების მოვალეობების მიხედვით:

აქტივობა/პერიოდი		მაისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	თებერვალი	მარტი	აპრილი
სასწავლო პროცესის შედეგების კვლევა	საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგი						შუალედური მონიტორინგი			
	კომპლექსური დავალებების ანალიზი საგნების მიხედვით						შუალედური მონიტორინგი			
	შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზი						შუალედური მონიტორინგი			
	არაფორმალური განათლების (კლუბები,წრეები) სამუშაო პროცესის ანალიზი					შუალედური მონიტორინგი				

¹¹ შუალედური მონიტორინგის სავარაუდო ვადებს სკოლა შეიმუშავებს აქტივობების განხორციელების შესაბამისად

	კათედრების მუშაობის ანალიზი						შედეგები მონიტორინგი			
	სადამრიგებლო პროგრამის ანალიზი					შედეგები მონიტორინგი		შედეგები მონიტორინგი		
მასწავლებლების პროფესიული კვალიფიკაციის განვითარების კვლევა	მასწავლებლების სამოქმედო გეგმის ანალიზი						შედეგები მონიტორინგი			
	სწავლების მეთოდოლოგიის ანალიზი						შედეგები მონიტორინგი			
	თანამშრომლობა და შედეგები									
	არაფორმალური და პროექტული სწავლების შედეგების ანალიზი						შედეგები			
კათედრების მუშაობის კვლევა	კათედრებზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის ანალიზი									
	თანამშრომლობითი გარემოს ანალიზი									
	საგანთაშორისი ინტეგრირების შედეგები									
	კათედრებზე თანამშრომლობის ანალიზი									
დამრიგებლები	კლასში ღირებულებებითი გარემოსა და დამოკიდებულებების ანალიზი									
	კლასის აკადემიური შედეგების ანალიზი									
	მოსწავლეთა ჩართულობისა და დასწრების მაჩვენებლების ანალიზი									
	არაფორმალური განათლების შედეგების ანალიზი									
მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კვლევა	საენის მასწავლებლებთან კომუნიკაციის სიხშირე									
	დამრიგებელთან კომუნიკაციის სიხშირე									
	სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის სიხშირე და ინტერესი									
	ინიციატივები მშობელთა მხრიდან									
	რამდენად იცნობს შეფასების კრიტერიუმებს									
	რამდენად იცნობს სწავლების მეთოდოლოგიასა და შედეგებს									
მის წეს ები საჭ	დასწრების მაჩვენებლის ანალიზი									

	მოსწავლეების მხრიდან სასკოლო ინიციატივების ანალიზი										
	სასკოლო პროექტებში ჩართულობის ანალიზი										
	ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზი										
დირექციის საქმიანობის კვლევა	სასკოლო გარემოს ანალიზი(კეთილგანწყობილი,თანამშრომლობითი)										
	მასწავლებელთა საჭიროებების ანალიზი										
	პასუხისმგებლობების დელეგირების ანალიზი										
	სასკოლო საჭიროებების მიზნობრივობის ანალიზი										

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ იგი გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოებაში, მასში გათალისწინებული იყოს ყველა სუბიექტის ინტერესები და საჭიროებები, დაიხვეწოს ცვლილებების შესაბამისად და იძლეოდეს სრულ სურათს სასკოლო სუბიექტების მოვალეობების, უფლებებისა და განხორციელებული აქტივობების შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები:

- განხორციელებული შეხვედრების ოქმები, ჩანაწერები (კათედრების, მშობლების, სამეურვეო საბჭოს, განვითარების ჯგუფის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დამრიგებლების კლასის საგნის მასწავლებლებთან და სხვ.)
- კვლევის ანგარიშები
- მონიტორინგის შედეგები
- ოპერაციული გეგმა

2.1.1 კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

სასკოლო საზოგადოება კურიკულუმს მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. იგი უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე,¹² გარდა სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდი მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

¹² ესგ. მუხლი 21. სასკოლო სასწავლო გეგმის დანიშნულება და შემადგენელი ნაწილები.

დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ

სასკოლო საზოგადოების
სუბიექტები:

მოვალეობა

დირექცია	დირექცია სკოლის საზოგადოებას წარუდგენს გასული სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგებს, სკოლის თვითშეფასებასა და ანალიზს
მასწავლებელი	მასწავლებლები წარადგენენ სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის, გამოწვევების შესახებ ანგარიშსა და რეკომენდაციას, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიას.
კათედრა	კათედრა წარადგენს საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და მონიტორინგის შედეგებს
მშობლები	მშობლები წარადგენენ რეკომენდაციას მოსწავლეთა ინტერესების, სწავლების მეთოდოლოგიისა და მოსწავლეთა მოღწევების ანალიზსა და რეკომენდაციას ცვლილებების შესახებ
მოსწავლეები	მოსწავლეთა თვითმმართველობა წარადგენს დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციას სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ

მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.¹³

სასკოლო საზოგადოების სუბიექტების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში:

დირექცია-- უზრუნველყოს სკოლის დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას საჭიროების კვლევაზე დაფუძნებით, შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, უზრუნველყოს და მონაწილეობა მიიღოს სასკოლო კურიკულუმის განახლება/დანერგვას, მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში და ინფორმაცია მიაწოდოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდინარე პროცესების შესახებ, კანონით განსაზღვრული ფორმით. ასევე ვალდებულია უზრუნველყოს დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმის საჯაროობა (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა), მისთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ფორმით (ვებგვერდზე ან სოციალურ გვერდზე განთავსებით, საინფორმაციო დაფაზე განთავსებით, ბუკლეტის გავრცელებით და ა.შ.)

მასწავლებელი- ვალდებულია წარადგინოს საგნის კურიკულუმი, კომპლექსური დავალებისა თუ სხვა ტიპის დავალებების ანალიზი, დიფერენცირებული სწავლების ანალიზი, შეაფასოს სწავლების მეთოდოლოგია და წარადგინოს რეფლექსია, გამოკვეთოს პრობლემები, მონაწილეობა მიიღოს არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში, ჰქონდეს სასკოლო კულტურის განვითარების მისეული ხედვა და ინიციატივები, განხორციელოს მოსწავლეთა შეფასება და დასწრება. შესაბამისად შეასრულოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები.

საგნობრივი კათედრა- ვალდებული განახორციელოს:

- ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- ბ) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- გ) საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

¹³ ესგ. მუხლი 42. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დ) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);

ე) ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;

ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;

ზ) შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;¹⁴

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურები:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასკოლო კურიკულუმი მტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე;
- წლიური გეგმები კათედრამ უნდა წარმოადგინოს თემატური მატრიცების სახით, რომლებშიც მითითებული იქნება თემა, საკითხი, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, ქვესაკითხები და მოცემული იქნება კომპლექსური დავალების პირობა (დავალების განხორციელების ეტაპები და აქტივობები ჩაიწერება არა დაგეგმვის ეტაპზე, არამედ მხოლოდ კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ);
- თუკი სკოლაში რამდენიმე პარალელური კლასია, პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე;
- როგორც პარალელურ კლასებში, ისე ერთი კლასის ფარგლებში ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მოსწავლემ შესაძლოა სხვადასხვა კომპლექსური დავალება განხორციელოს;
- სასწავლო პროცესში უნდა მოხდეს კომპლექსური დავალების ადაპტირება მოსწავლეთა საჭიროებებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იგეგმება კათედრის მიერ შეთანხმებული კურიკულუმის გათვალისწინებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მტკიცდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ.

მტკიცებულება:

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

¹⁴ ესგ. მუხლი 20. საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში

სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარს. მისი მიზანია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:¹⁵

პრობლემების გადაჭრა

- პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება;
- პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.

<p>კრიტიკული აზროვნება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
<p>შემოქმედებითი აზროვნება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
<p>თანამშრომლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
<p>კომუნიკაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • განცდილის, ნაზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; • ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; • სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
<p>ეთიკა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია;

¹⁵ ესგ. მუხლი 7. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები.

	<ul style="list-style-type: none"> • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
<p>მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
<p>დროსა და სივრცეში ორიენტირება</p>	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
<p>კვლევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
<p>სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქტივობის/დავალეების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალეების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალეების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება;

	<ul style="list-style-type: none"> • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება წიგნიერება	<ul style="list-style-type: none"> • ქსელური ძიება; • ინფორმაციის გავრცელება; • ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში. • ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:

- ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ბ) გარემოს დაცვა;
- გ) ჯანსაღი ცხოვრება;
- დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;
- ე) კონფლიქტების მართვა;
- ვ) ფინანსური წიგნიერება;
- ზ) კულტურული მრავალფეროვნება;
- თ) ადამიანის უფლებები.

საგნობრივი სტანდარტის შექმნის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, არსებულ რესურსებს, ქმნის შეფასების განმსაზღვრელ და განმავითრებელ კრიტერიუმებს, განსაზღვრავს დროს, წინარე ცოდნის საფუძველზე აგებს კურიკულუმის მეთოდოლოგიას.

კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განვსაზღვროთ სწავლა-სწავლების პროცესის ძირითადი მეთოდოლოგიური ორიენტირები¹⁶:

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

- ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;

¹⁶ ეროვნული სასწავლო გეგმა

ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

მუხლი 11. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით:

- ა) დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით;
- ბ) დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საგნის/საგნების გამლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლისთვის;
- გ) განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

მუხლი 12. სიღრმისეული სწავლება

სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

მუხლი 13. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე უნდა ხედავდეს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

მუხლი 14. დისციპლინა

სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. ამავე დროს, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნა.

მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა

მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს 5 საგანმანათლებლო პრინციპს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სწავლა-სწავლების პროცესი. აქვე კონკრეტდება ამ პრინციპების რეალიზების მექანიზმები.

- აქტიური სწავლა; მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება;
- ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით
- სწავლის სწავლა;
- ცოდნის სამი კატეგორიაზე მუშაობა.
- ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

აქვე დაკონკრეტებულია რამდენიმე დეტალი, რომელიც ყველა სკოლამ უნდა გაითვალისწინოს საკუთარი სასკოლო კურიკულუმის კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესში. კერძოდ:

- აქტიური სწავლის იდეა აღიწერება ე.წ. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების სახით;
- ყველა შედეგი მუშავდება ყველა თემაში. ანუ თემა უნდა იყოს სასწავლო ერთეული, რომლის ფარგლებშიც ურთიერთდაკავშირებულად დამუშავდება ყველა შედეგი;
- შეფასების ინსტრუმენტებზე მუშაობისას ათვლის წერტილად აღებულ უნდა იქნას სამიზნე ცოდნა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას. ეს მიზნები უცვლელია ნებისმიერ თემასთან მიმართებით.

ა) **სტანდარტის შედეგები** - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს საბაზო საფეხურის მოსწავლეს საგნის ფარგლებში?

ბ) **სამიზნე ცნებები** - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

გ) **სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები** - თითოეული ცნებისთვის უნდა განისაზღვროს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდება ხდება წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში.

დ) **საფეხურის საკვანძო შეკითხვები** - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად გარდაიქმნება.

სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული პროცედურები



2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

სკოლამ საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს:

- ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.
- სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;
- მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;

მუხლი 18.

1. სკოლის საერთო კულტურა უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიის შემდეგ პრინციპებს:

- ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვა;
- კულტურული მრავალფეროვნების დაფასება;
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება.

2. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს უნდა გრძნობდეს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილი უნდა შეჰქონდეს მის განვითარებაში

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (**მონიტორინგი**);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (**შეფასება**)?

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის წარმოებისთვის სკოლის დირექციამ უნდა უზრუნველყოს მხარდაჭერის მიზნით სასწავლო პროცესზე დაკვირვება. დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რამდენად ხორციელდება საკლასო ოთახში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და რამდენად ხდება მოსწავლეების შეფასება/მხარდაჭერა ამ დავალებებზე მუშაობის პროცესში.

რაც შეეხება კვლევასა და შეფასებას. ამ მხრივ ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ ასპექტზე:

- ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება;
- გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში მთავარი ამოცანაა, პედაგოგებმა განმავითარებელი შეფასების კუთხით (მოსწავლეების მიღწევების შეფასება, საკუთარი პრაქტიკის თვითშეფასება) გაკეთებული დასკვნები კათედრისა და სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუზიარონ; სხვაგვარად რომ ვთქვათ მათ ხელმისაწვდომი უნდა გახადონ მონაცემები, რომლებსაც სასკოლო კურიკულუმის განვითარება (კერძოდ მონიტორინგი, შეფასება და რევიზია) დაეფუძნება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, თუმცა, მათი გათვალისწინებით ასევე შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა.

ამ ტიპის აქტივობებად შეგვიძლია მოვიანროთ ყველაფერი დაწყებული თემატურ მატრიცებში განხორციელებული ცვლილებებიდან დამთავრებული რაიონის სკოლებთან ინტენსიური

თანამშრომლობის დაგეგმვამდე. სწორედ ისინი ქმნიან საფუძველს სასკოლო კურიკულუმში ცვლილებების განსახორციელებლად.

გამოყენებული წყაროები

1. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის №145/ნ ბრძანება;
2. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024: <https://mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo>
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების განმარტებითი გზამკვლევი, 2023
5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო: [სახელმძღვანელო](#)